



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაფხითი. ზამოღის ყოველ კვირა ღმს.

№ 41.

ოქტომბერი 2, 1894 წ.

№ 41.

შინაარსი: იაზონია და მისი მიკადო — საყურადღებო ამბები. — პიეტს, ლექსი დეტუ მებრედოსა. — პარკახი, მოთხრობა მბ. ნინო შეიღოსა. — სინანული, ლექსი დეტუ მებრედოსა. — სომხების საურო მოძრაობა და ბრძოლა ამირანების წინააღმდეგ ტერ-დავითიანისი. — მოგზაურობა შვეიცარიაში საზღვარ-გარეთელისა. — სასტორიო ჰასი გ. წერეთლისა. — სახემარო-გასართობი აკაისა.

იაზონია და მისი მიკადო (ხელმწიფე)



აჩნდა ცეცხლი აღმოსავლეთ აზიაში. იქ გა-მოიფიხიზლა ისევ დიდი ტომის ხალხმა, რო-მელიც, ეს ოთხასი წელიწადია, ეშაპსავეთ

მიძინებული იყო. ამ ეშაპმა ერთხელ თავისი კულის დარტყმით დანგრია მთელი აზია და ევროპა. მას ჰყავდა იმ დროს თავის საოცარს ბრკყალეზში აუა-რება დედამიწის ზურგის ხალხები გამოკლული და თვალ-ცრემლიანი, მაგრამ იმდენი მწუხარება, რაც



იაზონიის დედაფაღი




იაზონიის მიკადო (ხელმწიფე)

ამ ეგვიპტისგან საქართველოს ხალხს მიადგა, არაფერ ხალხს არ მიდგამია და ერთ დროს დაღებული, ძლიერი და გონება-განივარებული საქართველოს ერი ამ ეგვიპტეში ვატებსა წელში და დაანატრა მისი არსებობა. ორასი წელი გულ-გამეხებული ებრძოდა ამ ეგვიპტის სიმტარეულს. მან დაკარგა ყველაფერი, გარდა სიცოცხლისა. გაუძლო მის ჭირსაც, სანამ ბუნების ძალამ ისე არ დაასუსტა ეს ეგვიპტი და არ მიუტყია კვლავ თავის საბუნავო საშველო აზიაში ხანგრძლივ დასაძინებლად. დიდი ხანია, ის ასე მიძველარებული იყო. ყველას ეგანა, რომ იმან სულიც განუტევა, არაფერ ამ მიძინებულ ეგვიპტეს ურჩადლებასაც აღარ აქცევდა. ეს ეგვიპტი, როგორც მკითხველი მიხედვით, იყო მოზგოლთა ერთი ტომი, რომელსაც დღეს უჭირავს მთელი ჩინეთი, საშველო აზია, იაპონია და ნაწილი ციმბირისა.

ამ ჩვენს საუკუნეში ევროპის ხალხები და რუსეთი მიადგენ ამ მიძინებულს ეგვიპტეს და ცდილობდნენ მისი მდიდარი სამკვიდრო ნელ-ნელა ხელში ჩაეგდოთ. იმდენი უტრიალეს, რომ ეს მიძინებული ეგვიპტი ბოლოს გამოაფხიზლებს. დღევანდელი იაპონიის ბრძოლა და მეთაურობა ნიშნავს ამ ეგვიპტის გამოაფხიზლებას. ქვეშაირად საოცარი და მასთან ვასაკვირაროდ არის, რომ ოკეანის წლის განმავლობაში თითქმის გაველურებული ხალხი, როგორც

იყო იაპონიის მოზგოლთა ტომის ერი, იმდენად განვიტარებული იყოს სწავლა-მეცნიერებაში და გამაგრებული იყოს ღირსი, რომ ეს ორმოცი მილიონი ხალხი ოთხ-ხას მილიონზე მეტ ხალხს გამკლავებოდეს და ძირს დაეტყოს. ეს მოახდინა იაპონიამ თავის საკვირველი განიერი მეფის (მიკადოს) წყალობით. ისტორიამ მერე მაგალითი არ იცის, ასეთი ერის გამოაფხიზლებისა. ყოველივე ეს შეიძლოა ახლანდელმა იაპონიის მეფემ. რასაკვირველია, ისტორია თავის განაჩენს დაადგენს ამ შესანიშნავ მოვლენაზე და იქნება დღევანდელი მეფე ჭკუით, სულგრძობლივით და ნიჭით ყველა დედამიწის მეფეებზე მაღლა დააყენოს. მისი წყალობით შორს აღარ არის ის დრო, როცა ევროპა აზიას დაეტაკება და ამ ორივე მხრით დედამიწის ყველს ჩვენს კავკასიას, დაუდგება დიდებული დრო. აღმოსავლეთი დასავლეთს შეეხმის და შესაძლებელია ამით შემთხვევით მათმა შუაგულმა წყურტლამა, კავკასიამ, ამ ევროპასა და აზიას შორის, გადვლულმა ხილდამა, ისე თავი იჩინოს და თავის დიდებულს სეზბედს კვლავ მიადწიოს. მაგრამ ამისთვის საჭიროა კავკასიის ერის არჩეულენობრივი ფიზიკობა; განსაკუთრებით ქართველი ერისთვის არის საჭირო ამ შემთხვევაში სამი საგანი: ჭკუა, გამუდმებული სწავლა და დაუღალავი ვარჯიშობა.



საყურადღებო ამბები



ამეურნეო მინისტრის ბ-ნ ერმოლოვის მობძაინება საქართველოში იმისთანა მოვლენაა, რომლის უყურადღებოთ დატოვება მათეტიმეზო ცოდვით უნდა ჩათვალოს გავსეთს. რა შთაბეჭდილება მოუხდენია ჩვენ ქვეყანას მაღალ მოხელეზე, რა საჭიროებებზე მიუთითებიათ ჩვენ მოწინავე პირებს—ეს იმისთანა კითხვებია, რომ ერთობ გვიანტერესებენ. ამიტომ საჭიროთ დავინახეთ ბ-ნ მინისტრის მოგზაურობის შესახებ ერთად ვუამბოთ ჩვენ მკითხველებს.

სულ პირველად ბ-ნ მინისტრს უნებებოა ქ. სოხუმის ნახეა. უმთავრესი ყურადღება მინისტრისა მიუზიდავს ვაღმოსახლებულ რუსების ახალ-შენებს (ოლიგენსკაია, პოლტავეცკო და სხვა). ახალ დასახლებულენისათვის დაწერილებით გამოუკითხავს მათი ცხოვრების ვითარება. რუსებს შეუჩივლიათ ქურდობაზე. ამ საჩივარმა, —დაძმენს იფერისი კორესპონდენტ, —მინისტრი ძალიან დაალონა და რამდენიმე

სასაყვედურო სიტყვაც თქვა აქაურ მკვიდრთა შესახებ. სხებმა კი, ქალაქის დეპუტატების წინამძღოლობით, თხოვეს სამთო სასწავლებლის სამეურნეო სასწავლებლათ გადაკეთება. ამზე მინისტრმა თანხმობა გამოაცხადა და დახმარება აღუთქვა. სოხუმში შეიქმნა მინისტრის პატრონსკიმდ გამართეს ეანში, რომელზედაც მან წარმოთქვა სიტყვა და გაატარა ის აზრი, რომ ამ ქვეყნისთვის საჭიროა ასედაც კულტურაანი საფხი დასახლდეს.



სოხუმიდან ბ-ნ ერმოლოვი გამგზავრებულ ბათუმისაკენ, სადაც მიუწვევიათ საუზმეზე. აქ მას წარმოუთქვამს სატყვა ქ. ბათუმის სხვა-დასხვა საჭიროების შესახებ: მის აზრით ქალაქის განვიარების დამაბრკოლებელი მიზეზი ადგილების გამოიჯნელობაა. ამ ვარემოვებას განსაკუთრებულს ყურადღებას მივაქცევო, ბრძანა თურმე მინისტრმა.

საუზმეს შემდეგ მინისტრი წაბანდა ჩქეში ჩაის პლანტაციების დასაბელოიერებლად. გზაში თ. ალექსანდრე ჩოლოყაშვილს, ნატანების მადნის პაქ

რონს, წარუდგენია მინისტრისთვის შავი კუპრის სხვა-და-სხვა გვარი მინუშები. მინისტრს ყურადღებით გაუშინჯავს და დაწერილებით გამოუყითხავს ახლანდელი მდგომარეობა ამ მადნის წარმოებისა. თ. ჩოლოყაშვილის სხვა საქირობათა შორის დაუსახელებია კრედიტის უქონლობა და უთხოვია, რომ სახელმწიფო ბანკიდან კრედიტი გავსნას ამ საქმის საწარმოებლათო. ბ-ნი ერთმოლოვი დათანხმებულა და იმედი მიუცია თ. ა. ჩოლოყაშვილისთვის, რომ კრედიტი გავსენებთ სახელმწიფო ბანკიდანო. ჩაქეში აღვებობრივ გლენების საჩივარი მოუსმენია გუმიჯენლობაზე და დაპირებია, დახმარებას აღმოგიჩინთო. ამთ გარდა ჩურუქ-სუში (შეკალოვკაში) მცხოვრებლებმა, ქართველ მაჰმადიანებმა ზ ზრუებმა, ომს შემდეგ დასახლებულებმა—ცალ-ცალკე არზები მიართვის. ქართველა მაჰმადიანები შეიგოდენ გაუმიჯენელობას; რუსები კი ამას გარდა ადგილის სიცოტავეს, რაც უწინ მოგვეცეს ისიც მაჰმადიანებმა დისკუტირესო. მაგრამ აქვე აუხსნიათ, რომ ოსმალები კი არა, ისინი ძველითგანვე აქ მოსახლე ადგილობრივი ქართველი

მაჰმადიანები არიანო, რომელთაც უხსოვრის დროიდან ეჭირათ ეს ადგილებითო. რუსების მოახალ შენეთათვის მინისტრს განსაკუთრებული იმედი მიუცია.

ჩაქეშივე ბ-ნი მინისტრს გაუმართეს სადილი, რომელზედაც მას ხელმეორეთ გაუმიჯენლობაზე ჩამოუვლია ლაპარაკი. სხვათა შორის ეს უთქვამს: „ჩემის აზრით, ამ მხარეში დიდად საქიროა ადგილების გამოიჯენა და თათოველი მკვიდრის უფლებათა განსაზღვრა, რადგანაც ამ ქვეყანაში მხოლოდ მაშინ მოიღვამს ფეს კულტურა, თუ სრული უფლება მიენიჭება ადგილისა ყველა იმათ, ვისაც საკუთარისა და თავის მამა-პაპათა გამოუღმებული შრომით სამართლიანთ მოუპოვებია ეს უფლებანი, საქიროა, დეარწმუნოთ ყველა მკვიდრი და ადგილ-მამულის პატრონი, რომ იმათ საკუთრებას არაიენ შეეცილება და მამასადამე თავისუფლად და არხეინად შეუძლიათ განაგრძონ თავისი სასოფლო სამეურნეო მრეწველობა“.

(შედეგი იქნება)

პ ო ე ტ ს *

(გ უ მ დ ვ ნ ი ა კ ა კ ი ს)



წვის პატრუქი და დნება თანდათან წმინდა სათელი და ჰფანტავს წყედიადს გარშემო ძლიეამოსილი ნათელი. მაგრამ ვაი, რომ, რაც უფრო სათელი ცხოვალა იწვის და მეტად აშუქ-ანათებს, იმდენად მალე დაიწვის!..

შენც სათელი ხარ, პოეტო, მასეით იწვის და დნება ეგ შენი გულიც და ბნელი გარშემო მყის იფანტება. და შენც, რაც უფრო ცხარედ ამ სიბნელესთან იბრძოლებ და მეტ სინათლეს მიმოიფენ, იმდენათ დღეს შეიმოკლებ! შენ განსხვავდები მხოლოდ მით, რომ ის კაცისგან ინთება და შენს გულში კი ლეთიური ცეცხლი თეითიანე ივზნება. და, რაკი ერთხელ ის ცეცხლი განგებთ შენში გაჩნდება, სანამ სრულიად არ დააწვეავს, თვის ქურქელს, აღარ გაქრება!..

დუტე ზეგრალი

პ ა რ ტ ა ხ ი *

(მოთხრობა ეგ ნინოშვილისა).



აღაც გამოურკვეველი სევდა შემოგაწვება გულზე, როცა სოფელ...ში ერთ ყრო მიდამოს გაუვლით მახლობლად: ტყით და-

* პარტახი — უმარტონოდ დაწმინდილი სასღვარის და მადამო.

ჩრდილულს ფერდოს ძირში, რომელსაც პატარა ჩქრიალა მდინარე ჩაუვლის ახლოა, დგას ფერკული სახლი, რომლის სახურავი თითქმის სულ ჩანგრეულა, უსახურაოდ დარჩენილი კედლები სტიქიონთ ძალით ვაშეებულა, აქა-იქ ლოჯებში ცოტათი დამპალა კიდეც, ხავსი მოპყიდებია, სურათი მომარდულა. დანარჩენი შენობები ზოგი, ეტყობა, წაუღიათ და ზოგი კი, მაგალითად ფაცბა, საძროხე და მისთანა წერილმანები დამპალა და დაღვეილა. კიშკრიდან და ეზოს ლობიდან მხოლოდ აქეთ-იქით გადაზნეკილ-

გადმოხსნილი ურთხვლის ბოძები და სარები დაჩინილა. ეხო ტვერად გადატყუელა ბარდ-გაქალს მოუტყემს; ნორჩი ხეილები — ლეღვი, ატაძი, ბია და სხვა — საქონელს დაუმტყველია და გაუფუჭებია. სულ მთლად აქაურობა სამარისებურ მყუდროებას მოუტყემს. ამ სოფლის ხალხი მეტადრე ქალები და ბავშვები, როცა გაივლის ამ ყრუ მიდამოს სახსლოვეს, შეაფურთხებენ, თავს მოარიდებენ და „წინდაო გიორგი შენ დამიცევი“ იტყვიან პიჯტრის წყრით. პირველად რომ ამ მიდამოს ნახავ, ნალელიანი ფიქრი და კითხვები გებადება: ერთ ღრის აქ ადამიანს უცხოვრია, უმპაქმედა, ცდილა თავის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, უშენებია, უმამულებია აქაურობა. რა ექნა ეს ადამიანი? ნუთუ გაქრა, აღიგავა მისი არსებობა! ნუ თუ ეგეთი უსაფუძვლო მოჩვენება ადამიანის ცხოვრება! ცხოვრების ერთ რომელსავე უკუღმა ნასროლ ტალღას გაუქვრია ამ მიდამოში სიცოცხლის ლამპარი!

— რომენიმე წლის წინეთ, როცა ეს მიდამო ყრუ და გავიანებული არ იყო, ზემო აწერილის სახლის გვერდს მიუჯდა ცხრამეტი, თუ ოცი წლის ქალი და რაღაც სასოწარკვეთილებით ხელაპყრობილმა წაბროთქვა: „ღმერთო, იგი დღეი რეზა არ დააქციე, რაც დღეს მე ჯვარი დამწერესა“.

— იმ დღეს ნუ წყველი-მეთქი, ვითხარი! თუ გინდა შენი თავი წყვედო, ჯვარის წერასთან რა ხელი გაქ! უთხრა პირველს ხმელ-ხმელმა ჯერ კიდევ ყმაწვილმა, საქმაოდ ლამაზმა ქალმა, რომელიც ამ ლაპარაკზე გამოვიდა სახლიდან და დაჯდა პირველი ქალის მახლობლად.

— ჩემ თავს წყველი, ჰო, ჩემ თავს! უპასუხა გაჯავრებით პირველმა.

— რომ წყველი, მერე რა გჭირს შენ საწყველი! ახლა მოვიწინა უპატრონოთ ბუნდრუკი შენს ბიძაშვილსავეთ! უკაცრავათ. შენ ახლა პატრონი გყავს, იმისთანაი პატრონი, რომ ქვესკნელში ჩახვიდე, იქინეიც მიგაგნებს და ამოგათრევს. იგი არ იფიქრო კიდევ, ზოგიერთები რომაა ლაშვი, ჯერან იგი იყოს. ფენის ვადადგმა რომ იფიქრო, ბაწრით ჩამოგარიდებს და ჩამოგარჩობს!

— ღმერთო, სა წყვილდ აწი! აღარ გეყვენ იგი, რაც გული მომიკალით და ახლა აქნაიცი გამომიდე! დამეთხუთ-მეთქი — გიჩივი, დამეთხუთ! უთხრა პირველმა.

— იძახე ახლა, სა წყვილდ და საწყვილდ-თქე! ძალიანი თვალყური კი გაქ იმ წასელაზე, მარა იგი დღეი შენ არ მოგესწრობა!.. უპასუხა მეორემ.

— ველარ გაძებით ჩემი წვლებით! აბა, ჰა, მოდიოთ და ქამეთ ჩემი ხორცი!

— ქალო, შენ ნამეტარი ევადე თავი! გამოიდაკარხარ ქვეყნის შარახე და ყვირი, ქამეთ ჩემი ხორციო! რა კაცის მკამელათ გენახე ჩემი! აღარც შენ, აღარც მორიდებე! კი მემართლებია, რომ მიჩივა შეილი — შენ მიქერი ყოლიფერი სიავეო, ამ სიტყვებით გამოვიდა სახლიდან მესამე ქალი და დაჯდა მოადე ქალების სახსლოვეს.

ეს მესამე ქალი იქნებოდა ორმოც-დაათი წლის. ეს იყო ხმელ-ხმელი, მომადლო ტანის, სწორი, ჩამომჭყნარი პირისასის, რომელზე ახლაც ეტყობოდა, რომ ერთ ღროს ლამაზი უნდა ყოფილიყოსო.

— ახლა ავც გამოჰყვა! აბა, ჰა, შეეწიეთ ნადათ დედა-შვილმა ერთმანეთს და დამესეთ მე! ფუო, თქვენ ქალობას! უთხრა პირველმა ქალმა მიხუცებულს.

ამ სიტყვებმა ისე გააცეცხლა მოხუცე ქალი, რომ პირისახე დაემაწა. „რავა? მე ფუი?!“ მისახანეთ ჰკითხა იმან პირველ ქალს.

— ენს, ქალო, ფუი?.. ნენას?!.. იგიც აღარ დაგაკელი? მარა კი ემართლებია, რომ ჩემ ძმას არაფერამდ შენი შერთვა არ უნდოდა და ნენამ ძალათი შეართხეა შენი თავი. ახლა კის მაკორი თვალში აფურთხე და ფუოა უძახე! — წაყვიდა ამ სიტყვებით პირველს მოხუცის მაკორი მეორე ქალი.

— ღმერთმა გიქნა თქვენ იმისთანაი კაი, რაცაიცი მე მიქერთი! უთხრა პირველმა.

— რავა? ნენას კაი არ უქნია შენდა? შენ კი იმონიდი ჯერანისთანა ქმარს! — გაკვირვებთ ჰკითხა მეორემ.

— დეთხუე, ციცავ! თქვა და იგი იყო, მეტი რაღა გინდა! ბატონიშვილის ქალს ეკადრებოდა ჩემი ჯერან ქმარათ; ვადევეციდეთ, შევართოვეთ, აი, მაიონური ცოლათ და ახლა ხედავ, რას გვიჩივია! — ბრახმორგეით უთხრა მოხუცე მეორე ქალს.

ამას შემდეგ ქალებმა კიდევ კარგა ხანს იდავეს, ბეგრე მწარე და შხამიანი სიტყვები უთხრეს ერთმანეთს. ამასობაში მოსალომოდ და ქალებმა დაეაშვეთეს, რადგანაც მუშა კაცი მოვიდოდა ყანიდან და ეანზამი უნდა მოეშაადებიათ. სამივე ქალის ისეთი გეგნატულობა და მოქანტულობა ეტყობოდალათ საქმის კეთების დროს, რომ გვეგონებოდათ რაღაც დიდი ფიზიკური შრომა ვადახდებიათ თავზე და იმას დაუღლიაო, ახლა ისინი ხან-და-ხან წაჰკარეწაო წამოჰკარეწდნენ ერთმანეთს ან მწარე სიტყვებს და ან წყვილ-ლანძღებს, მაგალითად: მოხუცმა ქალმა ფილი (როდინი) მოიტანა თაროდან; სანაყი ქვის მოტანა კი დააიწყდა და როცა ამ უკანასკნელის მოსატანად წამოდგა, დაიწყველა: „ღმერთო, დუუკარქე ტენინი და გრძნობა, ვინცამ ასე მომაქცია დღეს! — თუ მტყუანი იყო, აკისრულობს, თუ არა და შენ დაემართოსო — მოისმა ამის პასუხად. გველი დაგეკიდა იმ ენახე, თუ მის დღემი არ იწყველებოდნო მოისმა მესამე ხმა...

(შემდეგი იქნება)

ს ი ნ ა ლ ი



ინანდლებზე აღარ მშობ
და აღარ მცოვა,
მავრამ სული უფრო მიწუხს
და გული მტკიავ?

ღმერთო ჩემო, რად ეგებდი
მაშ ამ ცხოვრებას,
თუ მშვიდობას სულს ვერ მიცემს
და გულსა შეეხება?..

თუ სხეულის წინად ტანჯვა
მარადის მშვიდის
თვის სიმწველით მაგიწყებდა
ტანჯვას სულიერს,
აწ ხორცისთვის, რის აღარ მაქვს

მე საზრუნავი,

გაცხოველდა, გაძლიერდა.
ნაღველი მწვევი!

კი არ მათობას, მჩხვლეტავს და მსუსხავს
ეს ტანთ-საცმელი
და ძიმწარეთ მენტენება
ტკბილი საჭმელი!..

ღმერთო ჩემო, რად მიწოდოდა
მაშ ეს ცხოვრება,
თუ მელოდა უარისი
ტანჯვა-წვალებას;

თუ ერთ წამსაც მოსვენება
არ მექნებოდა,
თუ სიცოცხლე ჯოჯოხეთად
გაღმეკმნებოდა?..

დაუბე მებრუნე

სომხების საერო მოძრაობა და ბრძოლა ამირანების წინააღმდეგ

II

ერის წინაასწავლელად სამი რამეა საქ-
რო: ჭეუა, სწავლა და ვარჯიშობა*
ბერძნულით.

50-60 წლებში დაიბადა ოსმალეთში სომხის ეროვნული კონსტიტუციის აზრი. მავრამ ამ გარემოების ასახსნელათ, საქირთა განვიხილოთ, თუ რა მდგომარეობაში იყო სომხის ერი, რომელსაც უნდა ჩაედვა სული თავის კონსტიტუციისათვის და გამოეყენებინა თავისევე საკეთილ-ღმერთი.

1830 წლამდე, არა თუ სომხეთში, არამედ კონსტანტინეპოლშიაც, საერო საზოგადო საქმეებში თვით ერს არავითარი მონაწილეობა არა ჰქონდა. ყოველი საერო საქმე სომხის ამირანებისა*) და მდიდარი ზარათების ხელში იყო. ამირანობა ისეთი

ძლიერი მტარელობა შეიქმნა ხალხისთვის, რომ სომხის ერი სრულიად დაიჩაჯრა.

მხოლოდ 1830-1840 წლების განმავლობაში ატყდა შვეიწროებული სომხის მოძრაობა და გაიმართა მათსა და ამირანებს შორის საერო ძლიერი ბრძოლა. ეს ამირანები იყვენ სომხის თავდა-აზნაურობის წარმომადგენელნი.

1838 წელს დაარსდა წ. იერუსალიმისა, ანუ იუსკიუტის სომხის აკადემია, სადაც უმაღლესს სწავლას იღებდენ სხვა სკოლებში დასრულებულნი სომხის ახალ-გაზდები საერო ხარჯით. ეს აკადემია და სხვა სკოლები ამირანების ზედამხედველობას ქვეშ იყვენ: როდესაც სურდათ, აკადემიას ფულს აძლევდენ, და როცა არა, მთავრობას აკეთვინებდენ.

აი, ამ აკადემიის გამო მოხდა ერსა და ამირანებს შორის პირველი და დიდი ბრძოლა, იაკობ პატრიარქის დროს. თითონ პატრიარქს, როგორც მოღვაწე კაცს, არ მოწონდა ამირანების საქციელი, მისთვისაც დაბალ ხალხს დაუახლოვდა და მონაწილეობა მიიღო აკადემიის მოვლის საქმეში. ხელოსანი ხალხი სიხარულით მიეგება პატრიარქს მონაწილეობისათვის. მოხდა ხელოსანთა კრება და აღმოჩნდნენ 24 წევრი, რომლისგანაც შედგა ზედამხედველობა. მას უნდა ესწრუნვა აკადემიის ნივთიერი მდგომარეობისათვის. ამირანებს ეს არ იმართ. ისინი ცდილობდენ დაბალი ხალხი თავიდან აეშორებინათ, ორ მხარეს შორის მტრობა გაძლიერდა. 1841 წ. საქმემ იქამდე მიადწია, რომ ამირანების წადილით და ხეყნით ოსმალეთის მთავრობამ დააპატიმრა

*) რადგანაც კონსტანტინეპოლის სომხის ეპიტროსის კურ შეკედლო მხოლოდ თვითონ განგეგო რიგსე მრავალი სომხების სჯერო საქმეები, მისთვის იმხს მოიწვია თანაშემწეუთ სომხის თავადების ტომადან ამორჩეული კაცები, რომლებსაც უწოდებდენ ამირანებათ. ესენი თვითონ სომხის თავადები იყვენ და თანდათან მდინე აზიის მხრეებიდან კონსტანტინეპოლში ესასლუბოდენ.

მრავალი ხელოსანთაგანი, განსაკუთრებით ზედაშენ-
დევლობის წევრები.

ამ გარემოებით ერი სასოწარკვეთილებას არ
მიეცა. ხელოსნებმა ერთმანეთს შეჰვიცეს, ერთგულთ
ებრძოლათ ამირანების წინააღმდეგ და თავიანთი
სტრეფილი აღესრულებინათ. 3000 ხელოსანმა დაკუ-
ტა ლუქნები, მიმართეს ხენათქარს და თხოვეს, რომ
მათი მოძმეები გაეთავისუფლებინათ სატუსაღოდან,
რადგან ისინი ბრალუღუნია არ იყვენ. მმართველო-
ბამ დაქტროლები გაათავისუფლა. ამირანებმა ხალხის
ასეთი გაფიცება ერთმანეთში დაინახეს, შეძრწუნდენ
და იძულებული შეიქნენ ადგილი დაეცალათ ხელო-
სნებისთვის.

1841 წ. დეკემბერს, ოსმალეთის მმართველო-
ბამ მოისმინა სომხის ხალხის თხოვნა და გამოსცა
ერთი სამთავრო სიგელი, რომლის ძალითაც დაარ-
სდა 27 წევრისაგან შედგენილი საერო ზედაშენდევ-
ლობა, ანუ კრება, რომელსაც დამოუკიდებლათ
ამირანებისა, უნდა განეგო ყოველგვარი საერო საქ-
მეები.

ერის უფლებები უფრო გავანიერდენ.
მათგოს პატრიარქი შემდეგ კათალიკოსად
ამირიჩა. ის იყო ხალხისკენ მიდრეკილი
და ამირანების წინააღმდეგი. ამირანებმა რომ
ნახეს, რომ ეს პატრიარქი იმთ გზას უკრავს, ჯერ
იფიქრეს უარი ეთქმევიდნენ პატრიარქობაზე. მა-
გრამ რადგანაც მთელი სომხის ეპაროხა და ხელო-
სნობა მათგოსის მომხრე იყო, ეს ვერ მოხერხდა.
ამის გამო სომხის თავადობამ მოიწადინა პატრიარ-
ქისთვის შური ეძია. ე. ი. მისი უფლება შეემცო-
რებინა.

ამ მიზნით იმათ შეიძღეს სამთავრო სიგელის
გამოტანა, რომლის ძალით საპატრიარქო სასახლე-
ში უნდა დაეარსებიათ ორი კრება, ერთი სასული-
ერო, მეორე კი სამოქალაქო საქმეებისთვის. ამ
ორივე კრების თავმჯდომარე პატრიარქი უნდა ყო-
ფილიყო, რომელსაც ნება არა ჰქონდა კრების უყო-
დნელათ რომელიმე საქმე წარედგინა უმაღლეს ხე-
ნათქართან, ანუ თავის ნებით რომელიმე განკარგუ-
ლება მოეხდინა.

1-47 წ. მისში კოსტანტინეპოლის დედა ცე-
ლესიაში შეიკრიბა საერთო კრება, სადაც ამოარჩი-
ეს სასულიერო და სამოქალაქო კრების წევრები.
სამოქალაქო კრების უკანასკნელ დროს უწოდეს

უმაღლესი კრება. სასულიერო კრება შედგენილი
იყო 14 დედლისაგან, უმაღლესი კრება კი 20 წე-
რისაგან,—11 წევრი ეპარქებისა და ხელოსნების
მხრით იყო და მხოლოდ 9 წევრი ამირანებიდან.
ეს კრებები კვირაში ერთხელ სხვა-და-სხვა დროს
უნდა შეკრებილიყო საპატრიარქო სასახლეში და
მოეხდინათ სხვა-და-სხვა ეროვნული და საეკლესიო
განკარგულებანი.

ამირანებმა ძლიერ ჩქარა იკრძნეს თავიანთი
შეცდომა: იმათ უნდოდათ შური ეძიათ პატრიარ-
ქისთვის და შეემოკლებინათ მისი უფლებები, მა-
გრამ ამის მაგიერათ ისე მოხდა, რომ სრულიად
ერის მონაწილეობა ეროვნულ საქმეებში ოფიცია-
ლურად დამტკიცდა და ერისგან ამოარჩეული გამ-
გეობის საუქმეელი დაწერდა.

სასოწარკვეთილობა ამირანებმა გადაწყვიტეს,
რომ რა გზითაც ყოფილაყო, მათი მოპირდაპირე
მათგოსი უნდოდათ ჩამოეგდათ პატრიარქობიდან.
იმათ დაუწყეს პატრიარქს მთავრობის წინაშე ბეზლობა,
ასე რომ ხენათქარი იძულებული შეიქნა გადაეცინებინა
და პატრიარქობაზე ხელი აეღებინებია.

მაგრამ ამ გარემოებამაც ვერა უშველარა ამი-
რანებს, რადგანაც მათგოსის მაგიერათ და ამათ
უნებურად სომხის ერმა ამოარჩია ისევე უწი-
ნდელი პატრიარქი იაკობი (1848—1858).

აი, ამ გარემოების დროს, როდესაც ერთი მხრით
ამირანების (თავად-აზნაურების) გავლენა ხალხზე სუ-
სტდებოდა და მეორე მხრით კი ერი წელში იმარ-
თებოდა, მოატანეს 1850 წლებმა.

ამ წლებიდან უკვე იწყება ოსმალეთის სომხე-
ბის მოძრაობა არა თუ კოსტანტინეპოლში, არამედ
მთელ სომხეთშიაც. სომხის ერის გონებით მოძრა-
ობაც საგანძობელი და საგულისხმო შეიქნა. კოს-
ტანტინეპოლის სომხების ახალშენმა უკვე შემდგა-
რიყო ინტელაგენტების წრეები, რომელნიც უმაღ-
ლესი ერის საკეთილ-დღეო აზრებით გატაცებულნი
იყვენ.

აი, ამ დროს დაიწყეს სომხის ერის მომზადება
და შეკარნეს ხალხს, რომ ხენათქარს ჩენი საქუ-
თარი საერო წეს-დგმა და ჩენი საქმეების შინაური
გამგეობა გამოეთხოვოთო, რომ ჩენი საკუთარი
საქმეების მართვა ჩვენვე ჩაგვბარდესო.

(შემდგეს იქნება)

ჯერ-დაკითხინი

მოგზაურობა შვეიცარიაში

IV

შემდეგ *

შუშათა ხელის სიძვირის გამო აქ დიდი ხანია ცდილობენ მაშინები შემოიღონ და იათად დაღვიონ მიწის შემუშავება. ღარსის საზოგადოებები, რომელთა მიზანი იყო სამეურნეო მანქანების ყიდვა და შემდეგ ცოტა მოგებით გაყიდვა, ან გაქირავება. ამ საქმემ ნიადაგი ვერ მოიპოვა და ყოველთვის ჩაიფუშა. ამის უმთავრესი მიზეზი ადგილ-მამულის დაკნინება, წერილი საკუთრებაა. ცხადია, ღარიბი ვერ შეიძინს ორთქლის მაშინას. ეთქვათ, პატარა მამულის პატრონი შეძლებულა და მაშინებიც გაიჩინა. ვანა ეს მისთვის სახეიროა? სრულიადც არა, რადგანაც შესაფერის სამუშაო არ ექნება და მაშინებიც მუქთად იქნება გაჩერებული. ამ ბოლო დროს ამ გარემოებამ სხვანაირი მიმართულება მიიღო. მაშინები იყიდეს იმ პირებმა, რომელთაც არავითარი მამული არა აქვთ. მხოლოდ დადიან სოფელ-სოფელ და აქირავებენ. ერთ სოფელში მოიტარეს საღვწე მანქანა, მთელი სოფლის პური ერთ დღეს გაღწეწა, საღამოს მეორე სოფელში წაიღეს, სადაც უტლიდენ. ამით მოკვებაშია მეთურნეც და მაშინის პატრონიც. გუთანი კი ყველგან ახალი სისტემისაა. ხნავენ ორი-სამი ცხენით, ან ხარებით (ხარებით იშვითად). გუთანს ღრმად ავლებენ და ნაკვლს და ნიადაგს ძლიერ ურევენ ერთმანეთში. იშვითად ყავს მეთურნეს ხარი, ან ცხენი, თითქმის ყოველთვის და ყოველგან ქირობენ. ერთ სოფელში შეიძლება ერთ-ორს ჰყავდეს სამუშაო პირტყევი, რომლის დაწმუნებაც გაქირავებდა. მთელი სოფელი ამათან ქირობას, მეთურნე-გლეხმა რომ პირტყევი გაიჩინოს დიდ ზარალს ნახავს. მისი შენახვა დიდი ფული დაუჯდება, მაშინ, როდესაც ნაქირავებით უფრო იათად გამოდის. მეტყევი: გაქირავებსო. თუ კი ყველას ეყოლება, ვინღა იქნება მქირავებელი. ახლა კი ასეთი წესი სუფევს, რომ საქონელი უმჯობესობას არ ყავს და იძულებულია იქირავოს. აქაც ქირობის განაწილებაა. როცა ქირობენ საქონელს, ქირობებენ კაცით, რადგანაც პატრონი სხვას არ ანდობს, ამისათვის ურიცხვებიან ამდენი მიწა დაიხიან და ამდენს მოგცემო. ერთი ჰეტარა მიწის შემუშავება ჯდება: დახნა 59 ფრ. ეს რიცხვი ზოგან 66 ფრ. აღის. ზოგან 52 ფრ. და მოკიდებულია ნიადაგის სიმავრე-სირბილეზე; დათე-

სეა 15—29 ფრანკმდის, დაფარცხვა 4 ფრ., მოკრეფა 37 ფრ., გაღწეწვა—37 ფრ., სულ 153 ფრ. ქალაქში წაღება გასაყოფათ სხვა ხარჯია. შემოსავალი: 1,387 კილო, ანუ ფულად, 430 ფრ. გაღწეწვისთანავე, გადაურჩეულად, ხორბალი მიაქვთ ახლომახლო ქალაქში მეწისქვილეებთან და ყიდან. ეს წისქვილები სწორეთ სამავალითათ არის გაკეთებულნი. თითოეული წარმოადგენს ეგებერთულა შერობას ასი-ორასი საფუკევი ქვებით, რომელნიც ერთი და იმავე ძალით მოდიან მოძრაობაში. ეს ძალა წარმოადგება წულიდან, რომელიც გამოყვანილია ტბიდან, ან მინარიდან და საშინელი სიძლიერით ვარდება ამისათვის განგებ გაკეთებულ ორმოში. ვერც წყალს და ვერც ამ ორმოს კაცი ვერ ხედავს, სადაც უფსკრულშია, საიდანაც არავითარი ხმურობა არ ამოდის. იქიდან გაჰყავთ ძალა და აძლევენ ამა თუ იმ მიმართულებას მაშინების საშუალებით. ეს ძალა უდრის 70—100 ცხენის ძალას. ყოველნაირი ხორბალი, პური, ქერი, ქვავი და სხ. ერთმანეთშია არეული, თან ახლავს ქვები, სილა და სხ. ერთ მუშას მიაქვს ტომართი და ყრის ეგებერთულა ქურტულში, მეგრე ამას არაფერით ეკითხვის, მხოლოდ სულ დაბლა პირველ სართულში გამოდის სხვა-და-სხვა ადგილიდან გაცრილი ფქვილი: პური, ქერი და სხ. როგორ ხდება ეს? გავყევთ ჩვენ ერთ ტომარ ხორბალს წისქვილის მესამე სართულიდან. პირველად ის იწმინდება და ყოველისავე ტლახისა და სლისისავე თავისუფლდება. შემდეგ ნწილდება, ცალცალკე ვადლის პური, ქერი, ქვავი და სხ. მეორე სართულში იფქვება, პირველში ირება და იყრება ტომარებში. აქ საქიროა ერთი მუშა, რომ სასვე ტომარის თავი მოუკრას და ცალიერი ტომარი მიაკრას თავის ადგილას. იქვე მაშინაზე ადებს რამდენსამე ტომარ ფქვილს და თვალის დახამხამებაში მესამე სართულზეა გაჩენილი. იქ იწერება და იკვანება ხამხამებთან, სადაც გამოცხვარს ყიდულობს, როგორც გლეხი, ისე არა გლეხი. პატარა, ჩვენებური წისქვილები აქ აღარ არსებობენ. აქაური წისქვილი ჯდება არა ნაკლებ ნახევარი მილიონი ფრანკისა და აშენებს შეძლებულთა გუნდი, ანუ კომპანიები. სახლში პურს არაიენ აცხობს. ხნიერი კაცები იტყვიან, მახსოვს ის დრო, როცა პურს სახლში ვცხობდითო.

ახლა გამოვიანგარიშოთ მიწის გადასახადი ყენეის კანტონში. სამუშაო მიწა და საშემე თიფლება 21,998 ჰექტარი, რომლიდანაც უნდა გამოირიცხოს ქალაქში მდებარე მამულები—732 ჰექტ., დაგრძობდა 21,196 ჰექტ. სოფლის, ღირებულნი 82 მილიონათ. ამასვე მოდის წელიწადში ათი მილიონი ფრან-

* იხილეთ „გაზა“ № 40.

კის ნაწარმოები. ამ ადგილებს აწევს შემდეგი გადასახადი:

| | |
|----------------------------------|---------------|
| კომუნის და კანტონის სასარგებლოთ. | 154,259 ფრ. |
| ფილოქსერასთან საბრძოლველად | 16,022 ფრ. |
| სხვა-და-სხვა საჭიროებისთვის | 11,000 ფრ. |
| ვალის (17 მილიონი) სარგებელი. | 850,000 ფრ. |
| სულ | 1,130,281 ფრ. |

მაშასადამე თითოეულ ჰექტარზე მოდის 53 ფრ. როგორც გხედავთ გადასახადის ორი ნაწილი ფულის პატრონის ჯიბეში გადადის. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ვალები ბანკებიდან არის აღებული და არა კერძო მოკავშირეებიდან, რომელიც აქ სრულეობით არ არსებობენ. აქ მეურნის მოკავშირე ბანკია. ნუ გეშინია, დიდი დაფიქრება არ უნდა სესხებას; წარადგინე მოწოდება, ესა და ეს მიწა დაუგროვებელია: ღირს ამდენი და შემოსავალს იძლევა ამდენს და გათვალა, მაშინვე ოქრო-ვერცხლს ჩაგინჩრიალებენ ხელში, ან და ერთი თავადები, რომელსაც საკუთრება აქვს.

ამ ანგარიშიში არ არის ჩამოთვლილი ის ვალი, რომელიც აწევს შენობებს და ქალაქის ვაშულებს. თუ ესეც მივიღებ სხეში, გამოვა, რომ ყენეის კანტონის ვალად აქვს აღებული 117 მილიონი და 874 ათასი ფრანკი. გამოანგარიშებულია, რომ ყენეაში ყოველივე ქონება ყოველ ოც წელიწადს იცვლის პატრონს და სხვის ხელში გადადის.

ამით ვთავებთ შვეიცარიის მეურნეობაზე ლაპარაკს. შეიძლება წარმოუდგინეთ ციფრები მარტო ყენეის კანტონის შესახებ, იმიტომ რომ ამ ნაწილს უფრო კარგად ვიცნობთ, ვინც სხვებს, მხოლოდ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რასაც წარმოადგენს ეს კანტონი, იმასვე გვიჩვენებს მთელი შვეიცარია, საფრანგეთი და სხ. დასავლეთ ევროპაში, სადაც კაპიტალისტური წყობილება უმაღლეს ხარისხამდე განვითარებული, ორი საშინელი სენი მიქნინარებს: ერთი მხრით გლეხი-მეურნე ბანკების ბრჭყალებში ჩაეარდნითა და თავი ევლარ და უღწევია, მეორე მხრით მუშა-პროლეტარი მექანიკურ-წარმოებელს გაუხდია ყმად, ე. ი. მშრომელ ხალხს ფულის პატრონები გადაფარებიან შრომა და ფული ერთმანეთს დაცილებიან, ვინც არ შრომობს, იმას ფული აქვს, ვინც შრომობს, იმას ფული არა აქვს. აი, რა წინააღმდეგობას მიაღწა კაცობრიობა. ევროპა ამ ფარგალში ფართხალებს და აქედან გასასვლელი ჯერ ევროპაშია. ამასთანავე საეკონომიკო ერთი გარემოება: რაც მალდა მივიწყებთ ფინანსების საფუძვლზე, მით თანდათან იკარგვის პიროვნება და საზოგადოებრივ გამორიან კომპანიები თანდათან აქციებით, ბანკის ბილეთებით, ოქრო-ვერ-

ცხლით. აქციებზე შერდება ბანკები. მეურნე იძულებულია ყოველ წელიწადს სარგებელი იხადოს, მაგრამ ვის მოაქვს ამდენი ფული, არ იცის, პატრონს ვერ ხედავს; მუშა იძულებულია ნახევარი დღე იმუშაოს ვილაყას სასარგებლოდ, მაგრამ ვინ არის ეს „ვილაყა“, არ იცის, თავის დღეში არ უნახავს; აქ პიროვნება კაპიტალისტისა არ ჩანს, ჩანს მხოლოდ სისტემა, სისტემა კაპიტალისტური და თვით პიროვნება ამ სისტემის იარაღად გადაქცეულია...

V

ჩვენ აქამდე ვლაპარაკობდით გლეხი-მეურნის შესახებ, მაგრამ არის აკრთევე გლეხი არა მეურნე, ანუ ნახევრად მეურნე. ესენი სოფლად ცხოვრობენ, საფელში დაბადებულან და აღზრდლან, მხოლოდ მათი ხელობა კი სოფლური არ არის. მიწის მუშაობის არაფერი გაეგებათ. ამათი საცხოვრებელი პირობები დიდთ განიჩრება მეურნის პირობებისაგან. განვიხილოთ ცოტა უფრო დაწერილებით.

საქმე იმაშია, რომ შვეიცარიის სოფლებში ქარხნებს მოუკლია ფეხი და ნამდვილი ქარხნული ცხოვრება აღორძინებულია, მცხოვრებლები დღიურ მუშაობა გაშდარან. პირველად გაგიკვირდებთ, მაგრამ როცა გაიცნობთ, დარწმუნდებით, რომ ეს აუტოლებელ მოთხოვნილებას გამოუწვევია. აი, არის იმისთანა ადგილები, განსაკუთრებით მაღალ მთებში (ჟიურა და სხ.) საცა ბალახის მეტი არაფერი მოდის, მაშინ ორდესაც ზედ სოფლებია გამოჩაღებული და ხალხი ტრიალებს. ამჟამაა ამ ხალხმა ცხოვრების რაიმე წყარო უნდა გაიჩინოს. მოსალოდნელი იყო ამ გვარი წყარო პირუტყვის მოშენება შეიქნებოდა. ნამდვილათ კი ასე არ არის. ამის მრავალ მიზეზთა შორის ის უნდა დავასახელოთ, რომ ხელმოკლე გლეხს სრულეობით არ ძალუძს პირუტყვის ყიდვა. ერთი ძროხა ღირს არა ნაკლებ 400-600 ფრანკისა. ამოდენა ფულის გამოღებას, ცხადია, ყველა ვერ შეიძლება. ამას მოუმატეთ საბალახო, საღვამო, ხელსაწყო და ღვინისავთი, რომ პირუტყვის მოშენებისთვის გვირჩიანი ბლომა თანხაა საჭირო; ამისათვის დიდი უმზავლესობა ამას მოკლებულია. ესეც ვთქვათ, რომ წინა დროს რიგიანი გლეხის უქონლობის გამო სამეურნეო ნაწარმოებთა თანდათან სოფელს ვერ გაცილებოდა, ქალაქი დაშორებული იყო. როცა ხალხი ცოტა იყო, იოლად გამოდიოდა, არც მოთხოვნილება ქონდა ბევრი. მაგრამ როცა გამრავლდნ და ცხოვრება გათოვლდა, საჭირო შეიქნა ახალი საშუალებების გამოძენა ახალი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აი, ამ დროს შემოიღეს საათის კეთება, ააგეს ქარხნები ქალაქებში და მუშე-

ბიკ მუიცილებელი შეიქმნა. გლეხობა დაიძრა სოფ-
ლიდან ქალაქისაკენ. მაშინ მთელი ქვეყანა შეეცა-
რიიდან ყიდულობდა საათს, რის გამო მუშათა ხე-
ლის მოთხოვნილება დიდი იყო და დაძვრდა. შო-
რეულ სოფლებში მცხოვრებნი კონსერვატორული
ელემენტის გამოდგა, თავიანთ მამა-პაპეულს, მთებს
და გაშლილ მიდამოებს ასე ადვილათ არ მოეშვენ.
მაშინ მექარხნებმა განიზრახეს: თუ კი გლეხი ჩე-
ნკენ არ მოდის, ჩვენ მივიღეთ იმისკენო. მთებში
გაშენებულ მიყრუებულ სოფლებში ჩადგეს ევებერ-
თელა სახლები თავისი ხელ-საწყო მაშინებით და
ფულიც გოდრით მიიტანეს. ამ გარემოებამ ძირეუ-
ლად შეცვალა სოფლის ცხოვრება. გლეხს, რომე-
ლიც ცისმარა დღეს მუქთად აღამებდა, ბედი კარზე
მოუგორდა, ფულის შეძენის საშუალება მიეცა. მა-
რთალია დღის ქირა ცოტა იყო, მაგრამ სულ არა-

ობას, ესეც სჯობდა. სოფლებებმა მიატოვეს თავიან-
თი მცირე შემოსავლიანი მიწა-ადგილი და ქარხ-
ნებში გადავიდნენ. გლეხი მოშორდა არა თუ მამულს,
არამედ სახლ-კარსაც. მუშისათვის სამძიმო შეიქნა
ყოველ დღე საუზმე-სადილისთვის სელა, რაიც გვა-
რჩიან შორს მდებარეობდა. ამისათვის იგი ყუა-ხანას
მიადგა კარებზე. ამას მიუმატეთ ის, რომ ცოლი და
მოზრდილი შვილები მას ამოუდგენ გვერდში და
ოჯახიც შეირყა. აბა, რა ანგარიშია ღამის გასათე-
ვად უთუოდ მამა-პაპეულს ქონს მიაკითხონ; ამ გა-
მოუსადგე ქონებას ჰყიდიან და ქარხნის ალოს ქი-
რაობენ ბინას. მექარხნეს გაუჩნდა მუდმივი რახნა
და გაჩაღდა წარმოება. შემდეგ თანდათან იხსნება
გზები და საქონლის გადატან-გადმოტანა ადვილ-
დება.

საზღვარ-გარეთელი



ჩინეთის დედოფალი.

საისტორიო ბასი

დასახელი *)



ჩინეთის ბოგდისანი (ხელმწიფე)

გველაზე უფრო ნათლათ დამტკიცა თ.
ქორდანიამ თვისება ჩინებულის უტყუარის
მეისტორიის გელათის ტაძრის აშენების
შესახებ. პირველად ბ-ნ თ. ქორდანიამ ავეიტეხა ბა-
სი: გ. წერეთელმა გელათისა ვედრების ლეთის-
მშობლის ხატზე გამოხატული ბაგრატ III იმერე-

თის ბაგრატ დიდთ V იცნოვო და ძალიანაც
შემცდარო. მე გაღმოვალბეი სურათები ბაგრატ მე-
სამისა, იმერეთის მეფისა (†1548 წ.), გამოხატული
დიდი ტაძრის კედელზე ჩრდილოეთის მხრით და
ბაგრატ დიდისა V-სა, გამოხატული გელათის ლეთის-
მშობლის ხატზე. მხატვრობანი სულ სხვა-და-სხვა ეპო-
ქის გამოდგენ, სახეებაც სულ სხვა-და-სხვა იყუ.
ამას შემდეგ მე მინც გულახდით, სამეცნიერო ინტერე-
სით გამსჭეაულუს, მინდოდა შემეტყო, იქნება მართლა
რამე ნამდვილი თანამედროული წერილობითი სა-
ბუთი არსებობდეს ჩემი მოსახრების საწინააღმდეგო?
გაგრამ ბ-ნ თ. ქორდანიამ ევრავითარი წერილო-

*) იხილეთ კვალი № 40

ბითი თანამედროული საბუთი ვერ წარმოადგინა გარდა ცარიელი სიტყვებისა. აქ რომ ვერას ვახდა, შემდეგ დამიწყო მტყუნებმა, ეითომც მე გელათის დიდი ტაძრის ჩრდილოეთის კედლებზე გამოხატული ბაგრატ III(†1548) იმერეთის აფხაზეთის მეფედ, ბაგრატ III-ედ († 1014 წ.) სვესტრასთ მეცნოს, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეში მეფობდა: ყოველმა ასეთმა მხილებამ მე დამარწმუნა, რომ ზნ თ. ჟორდანიას არ უნდა ყოფილიყო კარგათ გაცნობილი გელათის მონასტრთან; ვიფიქრე, თვით დიდი ტაძარი გელათის მონასტრისა ზედმიწევნით ვერ მიმოუხილავს და მასში დარჩენილი ზოგიერთი უძველესი კვალი ისტორიული წარსულისა სრულიად არ უნახავს რადვილობრივ არც შეუსწავლია — მეთქი. თ. ჟორდანიას უფრო წერილობითი საბუთების მიხედვით არე-დარეულათ გაუცნია გელათის დიდი დეტის-შობლის ტაძარი—მეთქი. მე რომ ასეც არ მეფიქრა, ამაში თვით თ. ჟორდანიაც გულახდილად ტყდებოდა თავის „ქრონიკებში“:

„საწესწავლად — მხანეს თ. ჟორდანიას**“ — ორ დღით

გელათის ყოფნაში მოგვცა გელათისა გამო (რადგან სახეში გეკონდა უფრო ხელნაწერების გადათვლიერება) ჩვენ ამ წარწერას უწინადადებ ვერ ვათხოვეთ და ახსოვლობდით ნათესავად აღწერულად დაგვითხარა. ამას ჩემი მხრითაც დაძვინ, რომ გელათის მეცნიერულად შესასწავლად, არა თუ ორი დღე, ორი კვირაც არ ეყოფოდა, მაშინაც კი მისი წინამეტყველების და აღიწერლების თხზულებებზე რომ ხელში ჰქეცროდა. მაშ, ვე დალატვილი, ისე თავ-აღებით როგორღა გვეკამათება იმისთანა საგნებზე, რომელნიც მას არც განუხილავს და თვლითაც არ უნახავს. უფრო გონება-განვითარებული, დამჯდარი ჰეშმარტების მიძიებელი, ამისთანა საგნებზე ხმასაც ვერ ამოიღებდა, მაგრამ თ. ჟორდანიას თურმე ისეთი გულთმისუი თვისება ჰქონია, რომ უნახავსა ნახულობს და შეუსწავლელიც შესწავლული აქვს.

ასეთი თვისება მისი ნამეტნად ცხადთ დაამტკიცა მან ჩემთან ბაასში გელათის მონასტრის შესახებ, როცა დივიანა, რომ ჩრდილოეთის კედლებზე დახატული ბაგრატ III, მეთექვსმეტე საუკუნის იმერეთის მეფე, და შეერთებულა ბაგრატ III-ედ მეთექვსმეტე საუკუნისა მეფედ მოგვანებნა. მე არც ერთი, არც მეორე ერთი მეორის მაგიერათ არ მივინებია, არამედ ორივეს კვალი და ორივე ამ მეფეების სურათი ვუჩვენე. გელათის ფრესკებში; მაგრამ რადგან თ. ჟორდანიას მხოლოდ ბაგრატ იმერეთის მეფის სურათი შეუნი-

შნავს დიდი ტაძრის ჩრდილოეთის კედლებზე, იქ სადაც ვეღვიმონ ჩხტიმეც არის დახატული, და ბაგრატ III-ის სვესტრასის სურათი არა, ამისთვის მოხდა, რომ ის გაუცებრად ერთსა და იმავე იმეორებს და ჩემს განსამტუნებლად ჩემივე თხზულებაც კი მოყავს: „Полное собрание надписей на стенахъ и пр. Древности вост. т. I, выпускъ II“. მართლაც რომ ეს თხზულება რიგიანად შეესწავლა ბ ნ თ. ჟორდანიას, იქიდან ბევრს ისტორიულს ცნობებსაც შეიტანდა თავის ქრონიკებში და იმახვდაც დარწმუნებოდა, რომ გელათის ერთ ძველ სტოვაში (თურმე ტანში), რომელიც დღეს დახსულია და, თუ არ დაუკვირდა კაცი, ვერც კი მიანგნებს, არის უძველესი ფრესკები, ძალიან დაზიანებული და დანგრეული; მაგრამ ბაგრატ მესამე სვესტრასი (1001 — 1014 წ.) მუხლმოყრილი ღეთ-სმშობლის წინ მაინც შეაჩვენებლეთისსმშობელი აძლევს ჯვარს მეფეს. აქვე თალში ერთ მხარეზე მარჯვით დავით აღმაშენებელია დახატული და მარცხით მისი შეილი დიმიტრის. 1881 წელს ზედწარწერებიც ნათლად ჩნდა ამ სტოვაში. ბაგრატ სვესტრასის სახე მხოლოდ ცხვირს ზემოთი არის დარჩენილი და მუხლმოყრილი ტანი შუა წელში გაუფუჭებულიყო აგრეთვე თაღებში ძალიან დაზიანებულია ნახატები დავით აღმაშენებელსა და დიმიტრისა. იატაკი ამ სტოვაში დღემდის ერთ ალაკს ძველი მოზაიკური პარკეთით არის მოკეპული. როგორც ვთქვით ეს სამხრეთის კერძო სტოვა, რომელიც შეადგენს სამხრეთის მკლავს ტაძრისას, უნდა ვიფიქროთ, მეთექვსმეტე საუკუნეიდან ბაგრატ მესამის იმერეთის მეფის მიერ უნდა იყოს დახსული და დაუქმებული, რადგან ამ სტოვის კედლებზე ძველი ფრესკება და ბაგრატის განახლებული კედლის-მხატვრობის ხელი მას არ მიჰკარგებია. თვით სტოვა ქუთაისის ბაგრატის ტაძრის სტოვის გვეგმაზე აშენებული. თალის შეკრულობა ფრად ამაღლებული და საკვირველ სიმეტრიულად შეწყობილი ტანი სტოვასი, ბოლოს აფრები თალისა (нарыча), მათი ქანდაკებ. ზედმიწევნით მოგვანებს ქუთაისის ბაგრატის ტაძრის აფრებს, რომელნიც იპოებთან და დატულია არიან დღემდის იმის ნანგრევებში ქუთაისს. ყოველივე ეს გვიმტკიცებს, რომ როცა დავით აღმაშენებლის დატყუილი დიდის მიწის ძვისა ვამო დანგრეული ამ ტაძრის ხელახლად აშენება, ეს სტოვა, როგორც მაშინ ხელშეუხებელი ყოფილა, დღემდისაც ისე დარჩენილა აღშენებულია და განახლებულ ტაძარში; მხოლოდ ფრესკულა მხატვრობა ამ სტოვასი უნდა ეკუთვნოდეს დავით აღმაშენებლის შეილის, დიმიტრის, მეფობას. ვერაწ,

***) ისიდე „ქრონიკები“ გვერდი 248.

მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს ამას შემდეგ ჩემი აზრი. მე ვამტკიცებ, რომ გელათის დიდი ტაძარი დავით აღმაშენებელისაჲს ყოფილა, აუშენებია ბაგრატი მესამეს აფხაზეთის მეფეს (1011 — 1014 წ.); შემდეგ, როცა მიწის დიდი ძეგა ყოფილა, 1089 წელს, ეს ტაძარი უნდა დანგრეულიყო და დავით აღმაშენებელს მისი ხელახლა შენება დაუწყუა 1106 წელს. ეტყობა, რომ დანგრევისაგან გადაჩენილა ჩემგან ზემოთ აწერილი სამხრეთის სტოვა და შუა ტანი ტაძრისა. დავით აღმაშენებელს ხელახლა აუგია ეს ტაძარი ძველ გეგმაზე, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ დაუსრულებია. ამას მოწმობს თვით თ. ჟორდანიას მიერ გადაბეჭდილი მის ქრონიკებში ნაწყვეტი ანდობი დავით აღმაშენებლისა, ვაღმოწერილი „საქართველოს სამოთხენა“: „სოლო დაწმ მონასტერი, სამარხავი ჩემი და სამგლე შვილთა ჩუთა უსრულად და წარმევა მისთვისცა ტკივილი სამარხისო. აწ შვილხან ჩემხან სრულ ჭყოს სამარხისოთ“.

ამ სახით დიდ ტაძარს გელათის მონასტრისას ეტყობა ხელი ბაგრატ III-ის, აფხაზთა მეფისა (1001 — 1014 წ.), დავით აღმაშენებლისა, დიმიტრისა და ბოლოს ბაგრატ III იმერეთის მეფისა († 1548 წ.). ყველა ამ მეფეების სურათები ცალ-ცალკე იპოება გელა-და-სხვა ალაგს გელათის დიდ ტაძარში და თ. ჟორდანიას თუ ზოგიერთი მათგანი ვერ შეუნიშნავს და სრულადაც არ უნახავს დაუკმებული და დიდი ხნადან დაზოული სამხრეთის სტოვა ბაგრატ III-ის აფხაზთა მეფისა, აგრეთვე აქ სამხრეთის კედელზე მისი საფრესკო სურათი და მის მარჯვნივ და მარცხნივ დავით აღმაშენებლისა და დიმიტრის სურათები, ვე რა ჩემი ბრალია? თვით თ. ჟორდანიას მოწყის თვის „ქრონიკაში“ უტყუარი საბუთი: „ქორონიკონს ს. ჟ. დ. (1106 წ.). ამა ქორონიკონსა გელათა რომ დაწყებულა: ფ: (ხუთასი) წელაჲდაი გელაჲსოჲ. რას ამტკიცებს ეს მატიაზე თუ არ იმას, რომ გელათი დავით აღმაშენებელისაჲს კიდევ ხუთასი წლის წინათ ყოფილა, როგორც მონასტერი. ვამახლა ჩემთან უმართებულო ბაასში ის რად იძიხას: წინააღმდეგ მე ცხად საბუთებით დაჯარვოე ბ. წერეთლის ყველა მოსაზრებათა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის შესახებ და უტყუარ საბუთებით საოლოგად დაგამტკიცებ, რომ გელათის ტაძარი აშენებულია დავით აღმაშენებლისა და არა ბაგრატ III-ის მიერო.“

ასეთს დაკინებას უტყუარი ისტორიული საბუთების წინააღმდეგ მეცნიერები ეძახიან „რუტინას“, ესე იგი ერთხელე შემცდარად შედგენილის აზრის ბალუთქელობას.

ამას შემდეგ ყოველი მიუღვამელი მსჯელობის კაცო ცხადათ დაინახავს, თუ თ. ჟორდანია რა-

ოდნთ განეთაზრებული უნდა იყოს ქართულ ისტორიაში.

რომ ბაასი ერთობ არ გავრძელდეს, სხვა მის შემცდარს ისტორიულს კამათობას ყურადღებს არ მივატყვე, როგორც მაგალითად ახლანდელი სიონის ტაძრის გეგმის სიძველეს, ან კიდევ ატენის სიონის ტაძრისას. ვისაც ისტორიული და არხეოლოგიური მეცნიერებისა რამე გავგება, ყველა ღიმილით წაიკითხავს თ. ჟორდანიას დამტკიცებას ტფალისის სიონის ტაძრის გეგმის სიძველეს შესახებ. ამ შემთხვევაში მე მხოლოდ მოვაგონებ მას მისი მოძღვრის პლ. იოსელიანის სიტყვებს: „ჭათოჯენი „სიონს“ კახჯენ ისეთს ტარებს, რომელთაც გუშათი აზრით დათო (Кратк. история груз. церкви П. Иос. стр. 28 прим.). სხვა არა იყოს რა, ბ-ნი თ. ჟორდანია დამეთანხმება ამას შემდეგ, რომ ღღევეანდელი გუმბათიანი სიონი არაფრით არ მიემსგავსება ენატანე გორგასლანის მიერ აგებულს ბაზილიკას. ესეც რომ არ ეთქვათ, ყველა, ვისაც კი ცოტადნათ შეუესწავლია ხუროთ-მოძღვრება, შეხედავს თუ არა სიონის წერილსა და ამაღლებულს გუმბათი, მაშინვე მიხედება, რომ ის ბიზანტიური გუმბათი არ არის და ამ მაღალი და წერალი გუმბათის შესაფერათ, მეთურამეტე საუკუნეში, ტაძრისათვის ტანიც უნდა აემალლებიოთ, მაშასადამე სულ სხვა გეგმაზე უნდა აშენებიათ.

ახლა გადავხედოთ მისი „ქრონიკები“.

1) „ქრონიკები“ 89 გვერდი: „947 წ. დასაბადან 6851 წ. იერუსალიმელ ქეთფრასის წარწერილობაჲ პლ. იოსელიანისაგან წავითსუღა“:

„გაბრიელჯა ნეტარი მამა, ჩვენი გრაგოლი (იგულისხმეთ ხანძოელი) 102 წლისა ცხოვრებისა მისისა და სხე.

შემდეგ შენიშვნაში თ. ჟორდანია ამბობს: „ბ-ნი ე. თაყაიშვილი მის გამოკვეთს, „სამი ისტორიული ქრონიკა“-ში შეგდამით მიწერს ამ ცნობების შეკრებას ბერს ა. ლორთქიფანიძეს, მაშინ როდესაც წერავითხვის საზოგადოების წევრთ-საცუში თვით ჰლ. იოსელიანის ხელით გადაწერილი ჰირაჲ ამ წერილისა“.

აბა, ენახოთ რამდენათ მართალია ყოველივე ეს, რასაც ბ-ნი თ. ჟორდანია ბძანებს აქ თავის „შენიშვნაში“:

ის ისტორიული ცნობები, რომელთაც ბ-ნი თ. ჟორდანია პლ. იოსელიანს აკუთვნებს, აღმოჩნდა, რომ სრულიად მისი არ ყოფილა, აზამედ მართლაც შეუტრებია ა. ლორთქიფანიძე ბერს, რომელმაც მრავალი წელი დაყო იერუსალიმში. ეს ხელნაწერი მცხეთის მონაზონს, ნათესავს ა. ლორთქიფანიძე ბერისას დარ-

ჩენია მემკვიდრეობით. იქიდან არის. ქუთათელაძეს ვადმოუწერია ცნობები, რომელნიც დაისტამენ 1859 წლის „იერიის“ ნომერებში. ამას შემდეგ ე. თაყაი-შვილმა წამდგინა დედანი ალ. ლორთქიფანიძის მისი ნათესავისგან, მკეთის მონაწილისაგან, მოიპოვა წერა-კითხვის წიგნთ-საკაისათვის. ბ.ნ თ. ჟორდანიას უნახავს ეს ე. თაყაიშვილის მიერ მოპოებული და წერა-კითხვის წიგნთსაკაისათვის შეწერილი ხელნაწერი ალ. ლორთქიფანიძისა და წარმოადგინეთ რა უქნია? — ზედ დედანზე ასე დაუწერია:

„ზღატონ იოსელიანის მოგზაურობა“; ე. თაყაი-შვილის კი ამტყუნებს თავის ქრონიკებში: პლატონის მოგზაურობა ვილაც ალ. ლორთქიფანიძე ბერის მიაწერა.

განა ეს ისტორიული „პოდლოგი“ არ არის?.. რომ პლ. იოსელიანი არც იერუსალიმში ყოფილა, და არც პალესტინაში, ამის დასამტკიცებელი საბუთები ბევრია; ა, ტიმოთის და იონას მოგზაურობა, გამოცემული პლ. იოსელიანის მიერ, რომელიც თავის თავზე ერთი სიტყვითაც არ იხსენებს ამ გამოცემებში, რომ იმას ემზავროს პალესტინაში და იერუსალიმში.

ბ, ბ-ნ ა. ცავარელი თავის თხზულებაში (Памятники груз. ст. въ св. зем.) ზედმოწვევით ამტკიცებს აგრეთვე, რომ პლ. იოსელიანი არ ყოფილა იერუსალიმში; ის იყო მხოლოდ ათონზე, კორინთში, ათინაში და კოსტანტინეპოლში. ვ, ცეცუბა, თ. ჟორდანიას ეს საბუთები არ წაუკითხავს, არ წაუკითხავს აგრეთვე melanges Asiatiques t. II p. 72, თორემ ასეთი „პოდლოგი“ არ მოუყვდიდა პლ. იოსელიანის მოგზაურობის შესახებ. ამ სახით ერთი ისტორიული დოკუმენტი წერა-კითხვის საზოგადოებისა შებღალულა. ახლა ბ-ნ თ. ჟორდანიას ზედწარწერის წყალობით მოამკალინი ქართული ისტორიის მეძიებელნი შეცდომაში იქნებიან შეყვანილნი. განა ასეთი მოღვაწეობა შეშვენის მისტორიის და არხოლოგის?.. შემდეგ:

2, „ქრონიკები“ 131 გვერდი:

„წარ-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საგვში დაცულია — ამისათვის თ. ჟორდანიას — ერთი უთავოლო მხარესწამი, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ „ჰეირფსინი ნაჰეტი კეგულის გამარტული“. ამ ხელნაწერიდან ვადმოწერილი აქვს თ. ჟორდანიას სამოცდა-მეერთე კითხვის განმარტება. ჩვენ ვადეათელიერეთ ეს ხელნაწერი. ის მართლაც „ეფეთის“ განმარტებულია; მაგრამ იქ კითხვები ორმოცდა-ათამდის არის მიყვანილი, მეტი აღარ არის. მამ საიდან შეთხზა ბ-ნ თ. ჟორდანიამ ეს სამოცდა-მეერთე კითხვის მი-

გება? მოდი და ახლა ენდე მის ქრონიკებს?.. თუ მართლა იყო ეს განმარტება, სად გაიქცა, ან გაიქცა? და თუ არ იყო, რატომ იკადრა თ. ჟორდანიამ მისი განმარტების მოგონება?

3, „ქრონიკები“ გვერდი 103.

„შტეტერდის ქრონიკებში ჩართულია — ამისათვის თ. ჟორდანიას — სესათა შორის ბერქინთ მეფეთა სია, რომელიც მოყვანილია ტექსტის ხელთ ნაკეთი ფოტოს დროშე, ესე იგი 963—969 წლები“ და სხვა.

ვადეაბურუნთ და ენახთ ახლა 104 გვერდი „ქრონიკებისა“, რას აზრობს ამავე საგანზე იგივე თ. ჟორდანიას? „ხეიოსესეხეული ბერქინთ მეფეთა სია მოყვანილია ყოფილად 716—717 წლები“ და სხ.

მოდი და ახლა ენდოთ ჩვენს ისტორიკოსს და წარჩინებულს არხეოლოგს, ქრონიკების მეპატრონეს, როცა ის ერთ გვერდზე აზრობს, რომ ბერქინთა მეფეთ სია მოყვანილია შატერდის კრებულში (963—969) მეათე საუკუნეში და მეორე გვერდზე კი უარს ყოფს ამას და იძახის, არა, შატერდის კრებულში ბერქინთა მეფეთ სია (716—717 წ.) მოყვანილია მეორე საუკუნეში. ჩვენ რომ ამისთანა ერთი მეორის წინააღმდეგი აზრების ძებნას მივცეთ და შეცდომები თავიდან ბოლომდე აღწინაშინოთ თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ „ქრონიკებში“, მერწმუნეთ, ერთი ტომიც დაიწერებოდა; მაგრამ კმარა.

ავილოთ შატერდის კრებულთ, დედანი ეტრატზე და წერილი, სადაც სიტყვების ამოკითხვა ვითამც და მართლად ეკითხულობო, მომავალ მკვლევართათვის საქმის გასაადვილებლათ ამიგებზე წაუწერია, ალაგალაგ ტექსტის შვი მელნით უსწორებია. ავილოთ მაგალითად:

გვერდი 444:

დედანში წამდგინა წერია: „და დანიელ მიილა და შიოძია სიტყვა ესე“ თ. ჟორდანიას ამის მაგერად ამოკითხავს და წაუწერია ამაზე შემდეგ ნაირათ: „და დაჯთ მოლო და შიოძია სესე ესე“. დედანში: „განაინის ერისთავად გვარამ და მერმე კურაპალატად“.

ქორდანიას: განაინის ერისთავად გვარამ და მისი კურაპალატად.

გვერდი 437.

დედანი: „სენსა რამე შინა მისსა“ ქორდანიას: სენსა შინა. დედანი: „რამეთუ პირვე ცთომასა შინა ჩრდილოეთსა ესე ქვეყანა“ ქორდანიას: „რამეთუ ქობაკ ცთომასა შინა დილისა“.

გვერდი 497.

დედანი: „ქრისტესა ესე ჩვენისა ცოდვისა ხსნაჲ და მარგებელ სულსაჲ“

ქორდანი: ქრისტესა ესე ჭნისსს.

გვერდი 496.

დედანი: ყოველთა განგვანათლებს..

ქორდანი: ყოველთაგან..

ამ სახით ყველა შეცდომით წაკითხული თ. ქორდანის წაუწერია დედნის ეტრატის აზიანზე და ამასთანავე კდევ თაჲს იქებს შემდეგი მინაწერი სიტყვებით: თ. ქორდანიამ წაიკითხე ესე.

ყველა ეს შეცდომით წაკითხული *) და თ. ქორდანის მიერ აზიებზე მინაწერი, შემდეგ, როცა ეფ. თაყაიშვილის „სამი ხრონიკა“ გამოვიდა, თ. ქორდანის იმისი მიხედვით გადასწორებია (**); ზაგი კი ისევ შეცდომით მინაწერა დარწმუნდა ეტრატის აზიანზე; ხოლო თავის ხრონიკებში ყველა ეს შეცდომით წაკითხული ეფ. თაყაიშვილის წყნადან შესწორებით დაუსტამბია, რადგან ხელთქონია მისი „სამი ხრონიკა“. მაგრამ განა ეს რასმე

უშველის თ. ქორდანის მიერ შეზღაბულს დედანს „მატერდის კრებულისს? ვინ იცის, რამდენი მკლე-ვარი მომავალში წამტერგეს ფესს ამ დოკუმენტის კითხვაში, თ. ქორდანის მიერ წაკითხულით დამედებულთ? აი, ასეთია ღვაწლი ჩვენი ქებული მქრონიკისი და მისტორიისი. ნუ დაიფიქვებთ, რომ ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთი ნიმუშები მოვიყვანეთ, რომლიდანაც მკითხველი, დანიანავს რა ამასთანა უმართებულთა მოქცევის თ. ქორდანისის ჩვენ ძველ დოკუმენტებთან, თეირ განსაჯის, რა საფრთხეშია აზის ჩავარდნილი ჩვენი ისტორიული დოკუმენტები საეკლესიო მუზეუმში, საცა თ. ქორდანის სრული უფალია და რაც ენებება იქ, იმას მოიქმედებს.

აქ ჩვენ არ შეგვიძლია, არ ეუსაყვედუროთ თვით ჩვენს წერა-კითხვის გავარცხლებელი საზოგადოების გამგეობას, რომელსაც ასე უყურადღებოთ ჩაუყრია თავისი მანუსკრიბტები თ. ქორდანის ხელში. მართალია დღეს იგი გამოუხიზლდა, მაგრამ რაღა დროს? ახლა გვიან-ღა არის, ამიტომ რომ საუკეთესო მისი მანუსკრიბტი თ. ქორდანისა შემცდარი წარწერების გამო უკვე შეზღაბულთა.

ამით ვათავებ კამათს თ. ქორდანისთან. აწ რაც უნდა დაწეროს მან ჩემ წინააღმდეგ, მე პასუხს აღარ გავცემ. თუ ეს ჩემი გამოქვეყნება მას სარწმუნოდ არ მიჩნია, შეუძლია იმართლოს თავი მითი, რომ მივიანდოთ ჩვენი საკამათო საკითხის გარჩევა ჩვენს ისტორიის მკვლევარებს და წერა-კითხვის გამგეობის წევრებს; იმათ განარჩიონ, ვინ არის ჩვენ შორის მართალი და ვინ ტყუის. ეს არის ჩემი უკანასკნელი პასუხი.

*) ჩვენ აქ, რაც მოსე ჟანაშვილმა აღადგინა მისი შეცდომით წაკითხული ადგილები, იმას აღარ ვასხევენთ.

**) მოსე „ქრონიკების“, წინასიტყვაობაში რაც მართალია, თ. ქორდანის სულ ეფ. თაყაიშვილის წინასიტყვაობიდან გამოუკრეფთა და მადლობის მსკერძით თეი ეფ. თაყაიშვილის გამოძიების სწრულიად თეით ასკრუტრებს, ხოლო მას კი ტვლახში სწრის. სწორედ თ. ქორდანისაჲს თვისება უნდა ქონდეს კაცს, რომ ასე მოაქცეს. ქრისტისთვის გარგი ვის უქნა, გველა წაუჭირო კისერში სვლით.

ბ. წ.

ბ. წერეთელი

სახსენიო განართობი.

მ დღებში ერთი სამაგალითო სტატია დაიბეჭდა „ივერიაში“, შესანიშნავი სათაურით: მე, პისარევი, სანდალა და კიტა*. — ტყუილთ კი არ არის ნათქვამი: „სახარე ხმოს სასკორე-

ში შეეტყობათ!“ ეს სტატია ხელ-მოუწერელიც რომ ყოფილიყო, მართო სათაურითაც შეატყობდა ყველა, რომ ბ-ნს ანტონ ფურცელაძეს ეკუთვნის და სხვას არავისო!.. შეატყობდა მითომ, რომ ჩვენს მწერლობაში თავისებურობა ისე არავის ატყვია, როგორც ანტონს... ავერ ოც-დაათი წელიწადია, რაც ეს საოცარი და საარაკო მოღვაწე ციბრუტოვით ტრიალებს და ერთი მხრიდან მეორეში შეუ-

პოერად გადაქ-გადმოაქვს. ჯერ კიდევ 19 წლის იყო, რომ მხოლოდ კორპუსის მოსამზადებელ კლასიდან გამოსული, ასპარეზზე გამოვიდა და ქვეყანას მოძღვრება დაუწყო. — ეგება ეინემ იფიქროს და თქვას: მაშინ იმას რა უნდა ცოდნოდო? და საკვირველებაც ის არის, რომ საღმრთო მადლით გამსჭვალულსა და ცისა მიერ მოვლინებულს ყოველივე დედის მუცლიდანვე თან დაჰყვა!.. აღმოზრწყინდა ვითარცა ნათელი და სხივი მოგფენინა, მაგრამ ცოტა თავი ვერ დაჰიჭრა და გადაპარბებით ყველას თვალი მოჰკრა!.. დაბრმავდა ქვეყანა და ვეღარა დანახა რა!.. ვინ არ იცის, რომ დიდი პატარაში ვერ მოთავსდება? პატარა იყო ჩვენი ქვეყანა მისთვის!.. ის რომ სხვაგან, დიდ ქვეყანაში, სადმე გაჩენილიყო, მეცხრამეტე საუკუნეს თავში მოექცეოდა მსოფლიო მოღვაწეთა შორის, მაგრამ ამ პატარა საქართველოში კი ჩიტის ამავე გამოუყვდა:

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,

ქალას ჩიტი ჩამკვდარიყო!

მალა შეედეგე გამხმარიყო,

ძირს ჩამოვდეგე დამპალიყო!..

დიდ ქებაში რომ არ ეტია,

პატარაში არ კმარიყო!..

დილა! ქვეყნად მოვიდა და ქვეყანამ იგი ვერ იცნო!.. იმ თავიდან ამ ბოლომდე ყბად აღებული ჰყავს და სადაც სხვების ბანბა ჩხრიალებს, ამის კაკლის ხმაც არ ისმის, თუმცა სხვებსაც ბეერს ამტრევს თავზე კაკლებს და თავის თავზედაც იმტრევს!

მრავალ-ფერი და ნაყოფიერის მაგისი ღვწლი: ქერელ ბექას სახელით დაიწყო წერა კრიტიკისა და რამოდენიმე წლით წინა უსწრო ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს და პისარევის, მაგრამ ვინ დაუჯერა?.. ბექას მაგიერად კნინობით ბაქია დაუძახეს!.. მოწმები ჰყავს და მათ რიცხვში ერთი ნოტარიუსიც, რომ დარეინზე აღრე იქადაგა ის, რითაც დარეინმა შემდეგში თავი ისახელა და გაითქვა!.. დამტკიცა შექსპირის უნიკობა, მისი ღრამების ობროდობა და სამინუშოთ თვითონ დაწერა ღრამები: „ავაზაკები“ და „დიდი მოურავი“. უაჩპყო, რომანისტები და სამაგალითოდ მისცა მათ „მაცი ხეტიცა“, წინა უსწრო ჩერნიშევსკის რომანს, მისის სოციალურის რომანით „სამის თავ-გადასავალით“.

და ბოლოს თავის თავზედაც დაწერა: „ვიმ მართალითა“. შექმნა ისტორია ისტორიისა, „ბავრატონათ დიდება“ გამოლტა, რუსთველს „თმარა-ლაზნელით“ თავში ჩაუკაყუნა და სხვანი და სხვანი. რომელი ერთი უნდა მოეთვალათ?.. ქვეყანა შეჰყურებს ამ დეე-მოღვაწეს და ნაცულად მისა, რომ მოწინებით ღილადებდეს „მოვედინ თაყვანი ესცეთო“, იღრიკება და ამბობს: „ასკი კუკუ დალაქო, კორის გულა დაგაქსო“ და სხვანი... აბა ამას ჰქვია: „შუ-რმან სახლისა შენისამან შემქამა მეო“. მართალია, ქეშმარიტება ოდესმე თავს იჩენს და სიმართლე თავისს გაიტანს: ბატონს ანტონსაც დაფასებენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მოგვითმენია, რომ ახლავდეს ალფიაროთ მისი მზეგება!.. ყოველ ამ ღირსებასთან, იმას სხვა შესანიშნავი და გასაკვირველი თვისებაც ბევრი აქვს, — მაგალითად ვერაფერს ვერ ათქმევინებს თავის თავზე!.. და თუ იტყვის, ისე, ცოტათი გაკერით. ამოწევრთ მინუშებს:

„სამასხაროთ მიანიათ, რომ მე, 18—20 წლის ყმაწვილმა, რომელსაც კორპუსის მოსამზადებელ კლასის იქით სასწავლებელი არ მინახავს... მოკლე ბიოგრაფიულ შენიშვნებში მთელი ტრაქტატი არ დავსწერე ხელოვნებაზე...“

„მაგრამ წარმოიდგინეთ ისევე მე, და არა სხვამ ეინემ, დაწერე თითქმის მთელი ტრაქტატი ხელოვნებაზე ავერ შეიღი რვა წელიწადია და თუ მიზონით ორგანოს, სადაც ამას დამიბეჭდიან — თუნდა მისთვის, რომ თქვენ ერთი მუჟა ფურთხი ჩემსკენ კიდევ გამოისროლოთ, — დიდათ დამავლენთო.“ — დღესაც, ავერ ექვსი თვეა, თუ მეტი არა, ერთი ჩემი კარგი ვრცელი ტრაქტატი, ჩემის ზნით ქართველთათვის დიდათ საჭირო კითხვებზე, გღია ერთს ჩვენს რედაქციაში და არამც თუ დაბეჭდა და უბრალო თავაზიც კი არ გამოიწეს — წაკითხვა რა არის, წაკითხვაც კი არ აღირსეს... ჩემი პისარეობა იწყება იმ დროიდან, როდესაც არამც თუ აქ, თვით რედაქციაშიაც ნაკლებ იცნობდნენ პისარევის. სტრია, რომლის დაწერის გამოც კიტა პისარევის მიწოდებს, არის დაწერილი, 1863 წ. მარტში, როდესაც არც კი გავეგვრნა აქ, პისარევი ვინ იყო. არამც თუ პისარევის, დობროლიუბოვსა და ჩერნიშევსკსაც კი არ ეცნობდით აქ. ეს მისი სიტყვები მე მხოლოდ ჩემი სიტყვების დასამოწმებლად ამოეწერე მის სი-



ტყეებიდან, რომ მკითხველმა იგულისხმოს!... აი, სწორედ ამისთანა კაცია ბატონი ანტონ ფურცელაძე და ჯერ კიდევ ევრაელის უცნია!.. ყველაზე პირველად ამან დაიძახა: ხელოვნება—ცხოვრებისათვის და არა ხელოვნებისათვისაო*! დღესაც ამ აზრზე დგას და ხელოვნობს ცხოვრებისათვის!

მაგალითად, ბანკობაში გარეყას ის ისე უყურობს, როგორც ხელოვნებას ცხოვრებისათვის და არა მარტო ხელოვნებისათვის, როგორც სხვები!.. სხვები რომ გარყენილებას ქადაგებენ, ის მაშინ იძულებული იყო ყოველგვარი საქმე ჩაედინა ამის გასაკიცხადად.—პუშკინის ბალს ზიწლით აუღლიდა ხოლმე გერჯს და „კისკრას“ და „კოლოტას“ ბაკებში სულს იბრუნებდა სიმართლის მოყვარეობით და ხანდახან „დანიამიც“ შეინიჭრალიტეტაებდა ხოლმე—სხვები რომ კენკებს აგროვებდენ, ის ჩუმად აცოცებდა იმავე კენკებს, რომ საზრახი საქმე მოესაო!.. პოეტები რომ შაირიდან თურქმე ქრთამის აღებას ურჩევდენ სოფლებებს, ის მაშინ თვით მიდიოდა სოფლებში და ქრთამს აძლევდა იმავე სოფლებს, რომ არ გაირყენეთ და ქრთამა არ აიღოთაო!..

აი, რა კაცია ბატონი ანტონი, მაგრამ ჯერ კიდევ საინდლას მეტს ევრაელის უცნია!.. მხოლოდ სანდალამ მიაყენა მას შუქი და გამოაჩინა სანდლის ფრად,—კურთხეულ იყოს ამიერიდან ამ ორთა-კაეშირი და ზენც მათდა სადიღებლათ შეეამკობთ ხალხური სიმღერით:

ა ცანგალა, ცანგალა!
ბაქია და სანდალაო!!

გამოცანას მოგახსენებთ:
დიდი არაფერიაო,
ერთი რამე სულიერი,
თავის თავის მტერიაო...
პროზის წერით დაჩუტულა,
ლექსებს გაუბერიაო;
ასი ჯარის საპალნეა,
რაც რამ დაუწერიაო.

ა ცანგალა, ცანგალა!
ბაქია და სანდალაო!..

ერთ ფალაფანს დაეძგერა,
ებლაუქა, ეწვალაო...
ყელში ხელი წაუჭირეს,
საწყალს ფერი ეცვალაო.
შევედრა: შენ ყოფილხარ
უძლეველი რამ ძალაო!..
ყურ-მოჭრილ ყმად გავიხდებო,
თუ სიკედლიშ მაცალაო.

ა ცანგალა, ცანგალა!
ბაქია და სანდალაო!!

რომ გაუშვებს, სხვას მიეარდა,
სულ სხვა აითვალთვალაო;
თოფი ქანდა დიდგულისა,
ჩვეოლეერი დაცალაო;
იქუჩმაზა, ებლაუქა,
მაგრამ ხელი აცალაო:
ყურებში რომ ხელი სტაცეს,
კარში გაიციანცალაო!..

ა ცანგალა, ცანგალა!
ბაქია და სანდალაო!!

გაღუბრუნდა შიშით გული
და სულ გადავეერიაო:
ანჩინურად გადაწერა,
რაც კი დაუწერიაო!..
ძველი მტრების მოყვარეა,
და მოყვრების მტერიაო!..
ვისაც აღრე წიხლს უსვრიდა,
მათი ფენტა მტეერიაო!..

ა ცანგალა, ცანგალა!
ბაქია და სანდალაო!!

აქაი

ტრედაქტორ. გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განსხვავებული

დაიბეჭდა და დაურვიდა ხელის-მომწერლებს

„**ქეჯილი**“

ენენისთვის

№ V შემდეგი შინაარსით:

ბუნების სურათი, — ლექსი-გაყ-ფშეკლასი — მე-

ლიას ხრიკები (დასასრული) თ. რაზიკაშვილისა—
სამი გლახა, ლექსი მამსხვლისა.—გველი, —ამბევი
გაყ-ფაშაგელისა—ხალხური ლექსი დედამიწის გულის
ამბევი (დასასრული) თ. მთავრისა—სან-ბერნარ-
დის ძაღლები ვრკელისა—ჰერში მოჩვენება (ან.
რობბაქინით) თ. ზიარელი—დედა (ანდერსენისა),
თარგმანი, ს. დონდისა—ლომი და კურდღელი
(იგავ-არაკნი ლესინგისა) თარგმანი, ად. ბარნაშისა—მგელი
ბებერი—თარგმანი ბ. ლომისისა—ანდაზები, გამო-
ცანები, ხალხური ლექსები, ზმა, მათემატიკური
გამოცანა, აკროსტიხი, შარადა, რებუსი და სხვ.

დაბეჭდილი საზოგადოება

ი ა კ ც ლ ი (ლუზა)

უძალესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელ-
საც ძირითადი თანხა 2.500,000 მანეთი აქვს, გა-
რდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მი-
მერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრე-
ბითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის
როცა შრომა აღარ შეეძლება.

მიიღება ყოველნაირი მოძარვისა და დარჩენის
ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-
მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსალების საქონ-
ლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წე-
რილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზა-
რება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგე-
ბაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისთვისა
და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სა-
ხლში, თუ არა თვით საზოგადოების ადვოკატის ალე-
ქსანდრე პეტრეს ძის ზაფარიცისაგან, რომელიც დავს
ველიამინოვის ქუჩაზე № 2.

გამოვიდა მემრემ მტრემ გ. წარუთადის თხოვნებისა
მოთხრობა

ჩვენნი ცხოვრების ყვა- ვილი,

გამოცემული ქუთაისის ამხანაგობისაგან. თასი 60 კაპ.

„ს ა ლ ბ“

გამოვა 1894 წელს უოკელ გვირგვინში ერთიჯ ერთიდან სამ თასსამდის იმავე პროგრამით
რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გაუფუჯობესოს შინაარსი და სახე გახეთისა. ამ განზრახვით
მან დაიბარა პეტერბურლიდან მრავალი საუკეთესო ცნებე და საილენძე მოჭრილი მხატვრობა.
გახეთი წლიურად ღირს: გაუგზავნელად შეფიდი მან., ხოლო გაგზავნით რვა მან. ნახევარის წლისა
გაუგზავნელად სამი მან. და ათი შუერი, გაგზავნით 4 მან. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მან., გაგზავნით 3
მან. თითო ნომერი 20 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში, „წერა-კითხვის საზოგადოე-
ბის კანცელარიაში“ ქალკს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: „კვალის“ რედა-
ქციას Тифлись Редакция „Квали“, (Большая Водовозная, № 22, домъ Айвазова.

ქალქ გარეთ: ქუთაისში: სხვათა შორის ვ. ბეჟანიშვილისა და ხეთერელის წიგნის მალაზიე-
ბში, —ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გახეთის საავენტოში. —პაქოში: ესტატე ბორისისძე ამასუყელ-
თან. —გორში: ზაქარია დავიდიანთან. —ყუბინაში: თ. ხუსკივაძესთან, ფოთში: სოფრომ მგლობლი-
შვილთან. —სასლენჯაში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძესთან. —სასხრეში: ყარაიან ჩხეიძესთან. —თელა-
ვში: მ. ცისკარაშვილთან.

წლიურ „კვალის“ ხელის-მომწერლებს 1894 დაურვიდებთ საჩუქრად მხატვრობა „საქარველოს დიდეს“
სამრეგლო და სასოფლო სკოლის მასწავლებლებს და სახალხო წიგნის საკითხავეს დაეთმობათ ამა-
ლი“ 7 მ.